1-ს აპრილს ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ. 1884 წელა.

მწყემსი

№ 7.

გაზეთის ფასი: ერთი წლისა გაგზავნით და გაუგზავნელად— ხუთი მანეთი, ნახევარი წლისა — სამი მანეთი.

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით. გაზეთის „მწყემსის“ რედაქციაში, დაბა შორაპანს. *Въ мѣстечко Квирилы. Въ редакцію „Микеми“ (Пастырь).*

განცხადება მიიღება გაზეთში დასაბეჭდად ზომიერ ფასათ. მიიღება აგრეთვე დაბეჭდილი განცხადებაების დარიგება გაზეთთან.

რედაქცია იმყოფება დაბა შორაპანში რედაქტორის საკუთარს სახლში.

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდად, უთუოდ გრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ მოწერილნი და თუ ავტორთა თავის ვინაობის გამოცხადება არა სურსთ, რედაქცია არ გამოაცხადებს მათ.

ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები, შენიშვნები და კორესპონდენციები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ. სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები, კორესპონდენციები და შენიშვნები რუსულ ენაზედ დაწერილნიც მიიღებიან და თარგმანით დაიბეჭდებიან.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ. კიდევ რამდენიმე სიტყვა ქუთაისის მომავალი სასულიერო სემინარიის დაარსების გამო.—ქართული სუკკლესიო კალობა.—ნინას ჯვარი.—შენიშვნა.—ლექსი.—სხვა-დ-სხვა ამბები და შენიშვნები.—ყურნალგაზეთთა მიმოსილვა.—ᲡᲬᲐᲕᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲝᲑᲠᲘᲗ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲑᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲔᲗᲘᲚᲜᲔᲝᲑᲐᲖᲔ. სიტყვა მესამე დიდ მარხვის კვირიაკესა ზედ, იმერეთის ეპისკოპოსისა.—ხმა უდაბნოდან. —განცხადებანი.

ᲐᲠᲐ ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲝᲠᲘᲝᲓᲔ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ.

Ჩისაც სასულიერო წოდების დიდი მნიშვნელობა ესმის საზოგადოთ ხალხის ზნეობითი და სარწმუნოებითი წარმატებისთვის და სიკეთე სურს ჩვენი ეხლანდელი დაცემული ერისთვის, ის უეჭველია, დიდი სიამოვნებით მიეკებებოდა იმ სასიხარულო ამბავს, რომელმაც გვაუწყა იმედი შესახებ სასულიერო სემინარიის დაფუძნებისა.—მაღლობა უნდა შევსწიროთ Ოფალს, თუ აღსრულებაში მოვიდა და დაგვირგვინდა ამდენი ხნის ენერგიული და შეუწყვეტელი მეცადინეობა და ზრუნვა Ყოვლად Უსამღვდელოესის Იმერეთის მღვდელ-მთავრის Გაბრიელისა ამ ფრიად სასარგებლო საქმის შესახებ. Ამითი ის დასდებს არა მარტო იმერეთის სამღვდელოებას, არამედ მთელ ჩვენ ქვეყანას, საზოგადოთ ღარიბს სასწავლებლებით, დაუფასებელ ღვაწლსა და საუკუნოდ მოსახსენებლად დასტოვებს თავისს სახელს.

Ჩომ ჩვენი სიტყვები უსაფუძვლოდ არ ეჩვენოს მკითხველს, საჭიროა გაენიხილოთ, თუ მართლა რა დიდი სარგებლობა შეუძლია მოგვცეს ამ მომავალმა სასწავლებელმა, თუ კი ის ისე კეთილად იქმნა გამართული, როგორც რიგია, ეხლანდელი დროა და ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საჭიროებანი მოითხოვენ.

Ამ დროდამ დაწყებული, ოდესაც ქართველი ერი Ჭრისტეს სარწმუნოებით განათლდა სასულიერო წოდებას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია მის ისტორიულ ცხოვრებაში, და ეს უთუოდ ასედაც უნდა ყოფილიყო. მაღალი Ჭრისტეს სარწმუნოება ყოველგან პირველად სასულიერო წოდებას შაუგნია და ის გამხდარა მისი მქადაგებელი, გამავრცელებელი, დამამყარებელი ხალხში. რადგანაც მისი დანიშნულება და მოვალეობა ის იყო, რომ თვით გაეგო და შეესწავლა Ჭრისტეს რჯული, აღესრულებია სამღრთო სამსახური, ექადაგნა ხალხისთვის კეთილ-

მორწმუნოება და კეთილი ზნე და თან დაეცვა ქრისტეს სარწმუნოების ჭეშმარიტებანი გარყვნისაგან; ამიტომ სასულიერო წოდებისათვის მიუცილებლად საჭირო იყო წერა-კითხვის ცოდნა და სწავლის მიღება, რადგანაც ბრმა მწყემსს არ შეეძლო თვისი მძიმე მოვალეობის აღსრულება. ამ მიზეზის გამო ყოველ ქვეყანაში, სადაც კი ქრისტიანობა დაარსდა, პირველად ნასწავლსა ჯ მცოდნე წოდებას შეადგენდა სასულიერო წოდება. ასე იყო ყოველგან და ჩვენშიაც, და რადგანაც სწავლა და ცოდნა ძალას შეადგენს და ხალხზე გავლენა მხოლოდ იმ წოდებას შეუძლია, რომელიც უფრო მაღლა სდგას გონებით და ზნეთი, ამიტომ სასულიერო წოდებას ჰქონდა ჩვენი ხალხის ზნეობითი და გონებითი წარმატებაზე დიდი გავლენა. — ტყუილად კი არ ამბობს ჩვენი მამა-პაპური ანდაზა: „როგორიც მღვდელია, ისეთი ერია.“

სასულიერო პირები იყვნენ უწინ ჩვენი ხალხის სულიერი მამები, მოძღვრები, დამრიგებლები და მასწავლებლებიც: ყოველ ჭირსა და ლხინში, ყოველ სასულიერო და ხშირად სახორციელო საქმეში ის მღვდლებს მიმართავდა ხოლმე, როგორც სულიერ მამებსა და უფრო მცოდნე პირებს რჩევის საკითხავად და ჰქონდა მათდამი განუსაზღვრელი რწმუნება და დანდობილობა. ეს პატივის ცემა და სიყვარული მათდამი გავრცელებული იყო ჩვენ ხალხში უბრალო გლეხიდამ დაწყებული მეფემდის: „ჯერ მღვდელთაო და მერე მეფეთაო“, ამბობს მეორე ჩვენი ძველი ანდაზა.

ჭართალია, ჩვენი უწინდელი სასულიერო წოდება საზოგადოთ, რომ ავიღოთ, ძრიელ მაღლა არ იდგა სწავლა განათლებით, მაგრამ როგორც უნდა იყვეს საერო პირებიდამ საზოგადოთ მაინც კიდე ბევრად განირჩეოდა, როგორც ცოდნით, ისე ზნით და მაშინდელ დროის შესაფერად, მისი მოძღვრება და წინამძღოლობა მაინც კიდე კარგად შეეძლო.

ადწინდელი ჩვენი სასულიერო პირები იღებდნენ სწავლას, იზრდებოდნენ და იწვრთნებოდნენ ჩვენ ძველ მონასტრებში, რომლებიც თითქმის მრთელ საქართველოში მოფენილი იყვნენ და ან კიდევ განთქმულ მცოდნე მოძღვრებთან, რომლებსაც მრავალი დიაკვნები ყავდათ მოწაფეებად. რომ მართლა უმეტესი ნაწილი მათგანი რიგიანად იყვნენ მომზადებულნი და თავიანთი საქმე მაინც ჩვენ ეხლანდელ სოფლის მღვდლებზე უფრო კარგად იცოდნენ, ამას ცხადათ გვიმტკიცებს ჩვენ ის ფაქტი, რომ უწინდელ სასულიერო პირებთ შორის ხშირად მოიპოებოდნენ ისეთები, რომელთაც ყოველი საღმრთო სამსახური და საზოგადო სახმარი საღმრთო და საეკკლესიო წიგნები ზეპირად იცოდნენ; ეხლა კი ზოგიერთ ჩვენ, ესრედ წოდებულ კურსოვნიკებს, ამოკითხვით წაკითხვაც უჭირდებათ.

ადწინდელ დროში არა მარტო დიაკვნები იზრდებოდნენ ჩვენ მონასტრებში ბერებთან და სოფლის მღვდლებთან, არამედ მრავალ თავად აზნაურების შვილების მასწავლებლებიც ისინი იყვნენ ხოლმე.

ჭეორე ასპარეზი ზოგიერთი უწინდელ ჩვენი სასულიერო პირებისა იყო მწერლობა ანუ ლიტერატურა, და ამ მხრითაც დიდი სამსახური გაუწიეს იმათ ხალხს. სასულიერო მწერლობის საფუძველი ადრე დაიდვა საქართველოში. ყველაზედ უფრო შესანიშნავი ღვაწლი იმათი ამ საქმეში პირველად სამღრთო და საეკკლესიო წიგნების გადმოღება იყო ჩვენ ენაზე. თუ რა რიგათ განვითარებული ყოფილან მთარგმნელები ქართულ ენის ცოდნაში, ამას თვით იმათი ნაშრომი გვიმტკიცებს ცხადათ.

საეკკლესიო და საღმრთო წიგნების თარგმნის გარდა, ჩვენ უწინდელ სასულიერო წოდებას თითქმის ყოველთვის უშრომია მწერლობითი ასპარეზზე საზოგადოთ, და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ღარიბი არ იქნებოდა ძვირფასი სასულიერო შინაარსის წიგნებით ჩვენი სასულიერო ლიტერატურა, რომ უწყალო დროს, ურწმუნო მტრებს და სხვათა მრავალნაირ მავნე მიზეზთა სრულიად არ შეემუსრათ და გაეწყალებიათ იგინი; დღეს მათი სახელებიც კი აღარ ვიცით იმ წიგნებისა და მათი ავტორებისა.

ყოველ ზემო ნათქვამს უწინდელ ჩვენ სასულიერო წოდების შესახებ ისიც უნდა დაუმატოთ, რომ უწინდელი ჩვენი ეკკლესიის წარმომადგენელებს, როგორც, მაგალითად ქათოლიკოზებს, დიდი გავლენა ჰქონიათ სამოქალაქო მართველობაშიაც: მეფეთ რჩევაში და თათბირში იმათ თითქმის პირველი ადგილი სჭერიათ. უკანასკნელ, ისეთი გამოჩენილი მხნე პირებიც კი ყოფილან მათ შორის, რომ არა ერთ გზის პირ-და-პირი მონაწილეობა მიუღიათ მძვინარე მტრებთან ბრძოლაში და საკვირველად უსახელებიათ ხოლმე თავი.

ესე ყოფილა უწინ ძველ დროებში, მაგრამ ბოლოს ჩვენი ბედის ჩალხი სხვანაირად დატრიალდა: ჩვენ სხვა დროსა და მდგომარეობას მოვესწარით, უწინდელი ჩვენი საკუთარი წესები, ჩვეულებები, ცხოვრების პირობა და გარემოება შეიცვალენ. პირველად, როგორც ყოველთვის მოხდება ხოლმე ამ გვარ შემთხვევაში, ჩვენ ხალხს ეს თითქმის მოუ-

ლოდნელი ცვლილება უცხოდ ეჩვენა და, რასაკვირველია, ერთბაშად ვერ შაითვისა. ამიტომ ძველ ისტორიულ ცხოვრებასაც მოკლებული იქმნა და ახალსაც ვერ მიეკედლა; დარჩა; როგორც იტყვიან, ორ წყალ შუა და არ იცოდა რა ექმნა. ამ გვარმა ჩვენმა მდგომარეობამ გაატანა თითქმის ნახევარი საუკუნო და მხოლოდ ამ უკანასკნელ დროს ცოტათაც არის გამოფხიზლდა ხალხი და მიხვდა ყველაფერს, გაიგო ახალ დროის მოთხოვნილება, გაიგო რომ ხელ-გულ დაკრეფილი გაჩერება კეთილს არას დაგვაყრის და მარტო სხვისი ცქერა არ გვეყოფა. ერთი სიტყვით ჩვენი ახალ თაობა შაუდგა ახალ გზასა და მიმართულებას. მან მოინდომა ერთი მხრით ახალი სწავლა-განათლების შეძენა, რომ თვითონაც ჩადგას კაცობრიობაში ფეხი და სასაცილოდ არ გახდეს; მეორე მხრითაც მოინდომა ჩვენი ძველ ისტორიული ცხოვრების გაცნობა. ახალი შთამომავლობის მოწინავე პირებმა გაიგეს ცოტად, რომ ჩვენი დაცემული ერის აღსადგენად საკმაო არ არის მარტო სხვისი ენის შესწავლა და ხალხოსნობის მიდევნა. ამიტომაც ისინი შეუდგნენ ჩვენი დაცემული ენისა და ლიტერატურის ანუ მწერლობის აღდგენას; ისინი ცდილობენ, რაც კი შეუძლიათ ამ შემთხვევაში ხალხს დაეხმარონ.

ეს ჰაზრი და მიმართულება ჩვენი ახალი თაობისა, მართალია, ჩვენი ეხლანდელ სასწავლებლების ნაყოფი არ არიან პირ-და-პირ, რადგანაც იმათი განწყობილება ადგილობრივ ნიადაგზე ჯერეც არ არის რიგიანად დამყარებული, მაგრამ, რაც უნდა იყოს, საზოგადო აღზრდამ და გონების გახსნამ აუხილეს თვალები ზოგიერთ ჩვენ ახალგაზდებს და მიახვედრნეს ისინი, რომ ყოველი განათლებული მამულის შვილის სამღრთო მოვალეობაა, რაოდენათაც კი შეუძლია, ზრუნავდეს იმ ხალხის კეთილ დღეობისა და წარმატებისათვის, რომელსაც ის ეკუთვნის, სადაც იმას სული ჩადგმია და პირველად თვალი ახილვია.

ამ გვარი ჰაზრისა და მიმართულების პირები ამ უკანასკნელ დრომდის ისე ცოტანი იყვნენ ჩვენში, რომ თითებით შაიძლებოდა იმათი ჩამოთვლა, მაგრამ ეხლა ღვთის მადლით, სულ თან-და-თან მატულობს ხოლმე იმათი რიცხვი. ისინი ზრუნავენ, იღვწიან, რაც შეძლება აქვთ, ჩვენი საზოგადოებისთვის, და ჩვენ ეხლაც ვხედავთ მათი მოქმედების ნაყოფს: აი დაარსდნენ ჩვენში ჟურნალ-გაზეთები, როგორც სხვა უფრო განათლებულ ქვეყნებში, იწერებიან და იბეჭდებიან სხვა-და-სხვა ნაირი წიგნები, შესდგნენ საზოგადოებაები საერო საქმის გასაკეთებლად, დაარსდნენ შკოლები ყმაწვილებისთვის, განილვიძა თავად-აზნაურობამ და გადასახადს იდებს კისერზე, ოღონდ კი მათი შვილები უსწავლელნი არ დარჩნენ და შთამომავლობამ ცუდათ არ მოიხსენოს იგინი. ამ გვარად იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება სულ თან-და-თან წინ წავა. მართალია, უმეტესობას დაბალი წოდების ხალხი გლეხობა შეადგენს ჩვენში, როგორც სხვაგან, მაგრამ არ შაიძლება არა ვსთქვათ, რომ ეხლა ისინიც იჩენენ შვილების აღზრდის სურვილს და ბევრნი მათგანი, რომელთაც კი შეძლება აქვსთ, კიდეც ზრდიან.

ამ გვარ დროს სასულიერო წოდების უკან ჩამორჩენა სწავლა-განათლებაში, რასაკვირველია, საშიში და შეუძლებელი საქმეა, რომ ჩვენი სასულიერო წოდებაც ძრიელ ელტვის ეხლა საზოგადოთ სწავლის მიღებას და სცდილობს შვილების აღზრდას. ეს, ვგონებ, ყველასათვის ცხადია, მაგრამ ხომ გაგიგონიათ: რა ჰქნას კარგმა მოხარდემაო... ჩვენ ერთი მილიონ მართლ-მადიდებელი ხალხის სამღვდელოებას აქნამდის მარტო ერთად ერთი სასულიერო სემინარია აქვს! როგორ უნდა დააკმაყოფილოს მან მრთელი ქართლის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, რაჭის, ოსეთის, სვანეთის და სხვა სამღვდელოება? რომ დიდი სურვილიც ჰქონდეთ, სად აქვსთ სოფლის მღვდლებს იმოდენი შეძლება, რომ ყველამ თფილისში ჩამოიყვანონ თავიანთი შვილები და აქ აღზარდონ სასულიერო სემინარიაში? ესეც რომ არ იყოს, როგორ მოთავსდება ერთ სემინარიაში ყველა მსურველები? არა, ეს შეულებელი საქმეა, და ამიტომაც უმეტესი ნაწილი ჩვენი სოფლელი მღვდლებისა, განსაკუთრებით იმერეთში, უსწავლები არიან ხოლმე. რუსეთში ზოგიერთ თითო გუბერნიაში ორ-ორი სასულიერო სემინარია აქვს სასულიერო წოდებას და კიდევ საკმაოდ არა სთვლიან ხოლმე. ერთი სიტყვით, არა თუ სემინარია, არც ის იქნებოდა, ვგონებ, საკვირველი, რომ ერთ მილლიონ მართლ-მადიდებელ ხალხს ერთი სასულიერო აკადემიაც ჰქონდეს, მაგრამ ეს ხომ ჩვენთვის ჯერ მარტო სიზმარია!

აი რა მიზეზითა ვსთქვით ჩვენ ამ წერილის დასაწყისში, რომ ყველა ჩვენთაგანი დიდი სიხარულით უნდა მიეგებოსთქო იმ სასიამოვნო ამბავს, რომელმაც გვაუწყა ქუთაისში სასულიერო სემინარიის დაარსების იმედი. მაგრამ ესეც კი უნდა წარმოვსთქვათ, რომ მარტო დაარსება არ კმარა. მომავალ სემინარიას მხოლოდ მაშინ შეეძლება მოგ-

ესცეს სასურველი ნაყოფი, თუ ის ისე იქმნება მოწყობილი, როგორც დრო, პედაგოგია და ადგილობრივი პირობაები მოითხოვენ. ამას გარდა ვისი მოვალეობაა თუ არა ჩვენი სასულიერო პირებისა, რომ აღადგინონ ჩვენი დაცემული, მაგრამ ერთხელ შესანიშნავი, სასულიერო მწერლობა, საეკკლესიო გალობა და სხვა? ამასთანავე ვის შეუძლია ისე დიდი გავლენა ჰქონდეს ხალხზე, როგორც ნასწავლ მღვდლებს, რომლებიც თვით ხალხში ტრიალებენ და დაახლოებით იციან მისი ჭირი და ლხინი, ავი და კარგიც? მხოლოდ მაშინ შეეძლება ჩვენ სასულიერო წოდებას იქონიოს ხალხზე ზნეობითი გავლენა, აღძრას მასში ჯეროვანი პატივის ცემა, აღადგინოს და დაიბრუნოს ის მნიშვნელობა, რომელიც, სამწუხაროდ, ეხლა ძრიელ შერყეულია ხოლმე, როცა ის ისე იქნება აღზრდილი და განვითარებული სწავლაში, როგორც რიგია.

ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი სასულიერო მართებლობა მიაქცევს ყველა ამ გარემოებას ჯეროვან ყურადღებას და ისე დააგვირგვინებს ამ ფრიად სასარგებლო საქმეს.

თუ ჩვენი სურვილი და ნატვრა აღსრულებაში მოვიდა, თუ ძუთაისის მომავალი სასულიერო სემინარია რიგიან წესებზე იქმნა დამყარებული, მაშინ, რაღა თქმა უნდა, ის დიდ სარგებლობას მისცემს მთელ ჩვენ ქვეყანას, რადგანაც იმერეთის ხალხი საზოგადოთ სწავლის სურვილითაც და ნიჭითაც შემკულია.

ქართული საეკკლესიო გალობა.

რომ წარსულ დროში ქართული საეკკლესიო გალობა კეთილ-მდგომარეობაში იყო, ამაზე ბევრი ლაპარაკი საჭირო არ არის, რადგან მომსწრე პირები მრავალნი არიან და ჩვენც დაბეჯითებით ვიცით, თუ როგორ ყვაოდა იგი, თუ როგორ აღაელენდნენ ქართველნი ღაღადებითი ვედრებას ღვთისადმი, თუ როგორ გალობდნენ ისინი, წირვის წესთა, სძლის პირთა, *) მათ „გარდასათქმელთა,“ დასდებელთა, ტროპართა, კონდაკთა და იკოსთა, მჯდომარეთა, პარაკლიტონის რვა ხმათა, რომელთა სამწუხროსა აქვს საკუთარი ხმა და საცისკროს კიდევ თავისი; „უფალო ღაღად ვყავ“ სხვა-და-სხვა ხმებზედ რვა ხმათ. სადიდ-მარხვო მჭრელი დიდებაები რვა ხმათ, იამბიკონი, მრავალი სხვა-და-სხვა ჭრელები და სხვა-და-სხვა... მაგრამ მაშინდელი ქართული გალობა, სამწუხაროდ, ისე სათვალჩინოდ დასუსტდა, რომ, თუ არა მხურვალე გულ მტკივნეულება, მკაცრი ყურადღებისა და მონაწილეობის მიღება, საჭიროა ყველასგან. რომ იტყვიან „სულზედ მივასწარიო“, სწორეთ ის დროა ეხლა ქართული გალობის აღსადგენელად, მადლობა ღმერთს, რომ მათ გალობათა წარმომადგენელნი კიდევ გვყვანან დღეს ოთხი ხუთი პირი, მაგრამ თუ ამათშიაც ერთი ორი გამოაკლდა, მერმეთ კი რაც დღეს გვესმის, იმის ნახევარსაც ვეღარ ვისმენთ...

29 წარსულ ფებერვლის რიცხვში იყო გამართული ქართული სასულიერო კონცერტი, ქალაქ ძუთაისს, ბ. ხარაზოვის სახლებში; მრავალი საერო და სასულიერო წოდების პირნი დაესწრენ. ბ. ძორიძემ აგალობა მისგან ნოტებზედ გარდაღებული ოქროპირის წირვის წესი თავის ხოროს, რომელიც შესდგებოდა ხუთი კაცისაგან. ბ. ძორიძემ მით გაგვახარა, რომ მან დაგვანახა ქართული გალობის ნოტებზედ გარდაღება შესაძლებელ მოელინებად. და ჩემის მხრით მეც სრულს თანხმობას ვაცხადებ, რომ ნოტებზედ ქართულ გალობის გარდაღება შეიძლება ისე უმეტნაკლოთ. რაიცა შეეხება ბ. ძორიძის ნოტებზედ გარდაღებული გალობის აეკარგობას, ამაზე ვიტყვი შემდეგს: იგალობეს პირველად, „ამინ,“ უფალო შეგვიწყალენ“ და ამ გვარი წერილმანები, აგრეთვე „მოვედით თაყვანივსცეთ, წმიდაო ღმერთო, მრწამსი, შენ გიგალობთ, ღირს არს ჭეშმარიტად და განმანათლებელი,“ ესენი კი გურული კილო იყო. მხოლოდ ამათში ეს ნაკლულევანება შევნიშნეთ, ბანი და მაღალი ბანი არ ეთანხმებოდა დაწყებას. რომელი ქერაბიმთა, მეუფისა, ღირს არს და მართალ თაყვანის ცემა, და წმიდა არსი, მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ პირველი გაგონება იყო ჩემი! რომელი ქერაბიმთა, იგალობება სამ ნაირად. 1) სამღვდელ-მთავრო ჭრელი, 2) სამღვდელო, ესე იგი რომელსაც საზოგადოდ ხმარობენ, და 3) განმანათლებელის კილოზე, რომელსაც აქვს ხმა 2-რეს ამ უკანასკნელს, ჭრელი. აქვს გათავებისასა საკმაოდ და მეუფისაცა ამ ხმითვე დაბოლოვდება. არცერთს ამათგანს არ ემსგავსებოდა ამათი რომელი

*) სძლის პირნი, როგორც იტყვიან, ხუთას ორმოცდა თუთხმეტ სხვა-და-სხვა მუხლებს შეადგენს, აგრეთვე, თუმცა რვა ხმამდისინ სხვა-და-სხვა ხმებს უჩვენებენ, მაგრამ იმ დაწერილი ხმებით ვერ გაირჩევიან, რომელი სძლის პირი რომელი ხმა არის, არამედ თითოეულ სძლის პირს საკუთარი სხვა-და-სხვა ხმები აქვს.

ჯვტარი.

ქერაბიმთა. ეს იყო, ვითომ მერვე ხმაზედ გარდაკეთებული (არ ვიცი ვისგან) ,,სდუმენინ ყოველი ხორცი" ამის შედარებით, იმეორებდნენ ერთსა და იმავე სიტყვას, რომლის მსგავსად ქართულ გალობაში არ არის ხმარებული! ,,ღირს არს და მართალი თაყვანის ცემა" და ,,წმიდა არსი" პირველი და მეორეც გარდაკეთებული არის. პირველი იგალობეს საცისკრო პარაკლიტონის მეექვსე ხმაზე და მეორე, მართალი უნდა მოგახსენოთ, ვერ გავარჩიე კარგათ, რომელ ხმაზედ არის გადაკეთებული. მაშინ, როდესაც თავ-თავისი ხმები აქვს ორთავეს: პირველი იგალობება ორნაირად, ჩვეულებრივად და სამღვდელმთავრო ჭრელად. მეორე კი სამნაირად: ჩვეულებრივად, სამღვდელ-მთავრო ჭრელად და სძლის პირის ხმაზედ; ამ უკანასკნელ ხმას ძვირად გალობენ ეკკლესიაში.

ამ მოხსენებულ ერთსა და ერთს ჩვეულებრივს ხმაზედ, რომ ყოფილიყო გარდაღებული ეს გალობაები ძალიან კარგი იქმნებოდა; მაგრამ ბ. ქორიძეს ამაში სრულიად არა აქვს ბრალი, როგორი ხმაც აჩვენეს იმას, ის ხმა გარდიღო. რომ ბ. ქორიძეს ამ შრომის დროს ერთი კიდევ ვინმე გალობაში ძალიან გავარჯიშებული პირი დაესწრო იმ მგალობელთან, რომელმაც ეს დააწერინა, უფრო კარგი იქმნებოდა. ჩვენ დარწმუნებით ვიცით, რომ, ბ. ქორიძეს მისი მეუღლის შემწეობით და კარგი მგალობლების დახმარებით შეუძლია უმეტნაკლოდ დასწეროს ნოტებზედ ქართული მშვენიერი გალობა.

ქუთ. სასულ. სასწ. გალ. მასწავლ. დ. რ. ხუნდაძე.

ნინას ჯვარი.

ჩვენ ვუწყით, რომ მაცხოვრის რჯული წარმართ საქართველოში პირველად ჰქადაგა წმ. მოციქულმა ანდრიამ და სვიმეონ კანანიტელმა. მაგრამ ქრისტიანობის გავრცელება და დამკვიდრება ჩვენ ქვეყანაში ეკუთვნის მოციქულთა სწორს ნინას. ამ შესანიშნავმა დედა-კაცმა უშიშრად, მარტოდ-მარტო გამოიარა უდაბური ტყე—ველნი, მოაწია მცხეთას და აქ თვისი სასწაულებითა მიიქცია ყურადღება მეფისა, რომელიც (მირიანი) მალე მთელი მისი ამალით და ხალხით განათლა. მუდამ ნინას თავის მოღვაწეობის დროს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა, რომელიც, როგორც ეკკლესიური გარდმოცემა გვაუწყებს, მისცა მას ჩვენი ქვეყნის მფარველმა ღვთისმშობელმა მარიამა. ამ წერილით მე მსურს მკითხველნი ,,მწყემსისა" გავაცნო ვაზის ჯვრის ისტორიას ანუ თავ-გარდასავალს. ჯვარი ესე მდებარებს ტფილისის სიონის სობოროში.

ჯვრის სიგრძე $1\frac{1}{4}$ არშინია, სიგანე $\frac{3}{4}$ არშინი. იგი შეკრულია თვით წმ. ნინოს თმებითა. გაკეთებულია ვაზის ტოტებისაგან, რომელნიც ერთს ადგილას ვილაცასაგან მცირედ ამოჭრილია. ჯვარი ასვენია კუბოში ნინოს ხატთან ერთად. გარეშემო დახატულია ყველა სასწაულები, ნინასაგან მოხდენილი.

კუბო გაკეთებულია შემდეგში და, როგორც წარწერიდამ სჩანს, გაუკეთებია მეფე ვახტანგს. ,,დედაო ნინა, დედისა ღვთისა ნიჭებულსა ჯვარსა გიმკობ მეფე ვახტანგი, რომლითა განანათლე ქვეყანა ქართლისა..."

ზედ ნინოს ხატზედ აწერია: ,,წმიდაო მოციქულო ნინა, მეოხ-გვეყავ ორსავე შინა ცხოვრებასა მეფესა არჩილს, რომელმან შემოგწირე სულისა ჩემისა სახსრად და მეფობისა ჩვენისა წარსამართებლად შევამკე ხატი ესე." აქვე არის სხვა წარწერა, რომელიც ეკუთვნის ႵႩႡ (1677 წ.) ქორონიკონს და რომელშიაც მოხსენებულია იგივე არჩილი, რომელიც სამჯერ იყო მეფედ კახეთისა და ორჯერ მეფედ იმერეთისა.

ნინოს აღსრულების შემდეგ (ნინო ასვენია ქიზიყის სოფ. ბოდბეში, მისივე ეკკლესიაში) ჯვარი ვაზისა, როგორც მეოხი და მფარველი სრულიად საქართველოისა ინახებოდა მცხეთის სვეტი-ცხოველის საპატრიარქო ტაძარში. შემდეგში, როდესაც სპარსეთიდამ შემოსულმა მოგვობამ საშინლად შეავიწროვა ქრისტიანობა და დევნა დაუწყო ხატთა და ჯვართა, წმ. ნინას ჯვარი გაიტანეს მცხეთიდამ და მიმალეს ტაოში; აქედამ კიდევ გადმოიტანეს სპერში (ისპარში). რამდენიმე ხნის შემდეგ წაიღეს კაპოეტის ციხეში. მაგრამ არც იქ დარჩა დიდ ხანს. 649—661 წ. სომხის პატრიარქი ნერსეს მე III დასახლდა ტაოში და ნინას ჯვარი მოატანინა დიპროვანკიდამ. შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში ჯვარი დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ ბოლოს პოვნილ და დასვენებულ იქმნა ვანანდის მონასტერში. მაგრამ აქაც გამოუჩნდნენ მტრები წმიდა ჯვარს. ვილაც თათრის მხედარმა მაჰმადმა გაცარცვა მონასტერი, თუმცა ჯვარი გადარჩა. შემდეგში მონასტერი გაცარცვა უსუფმა, ამის შემდეგ—სულქმანმა. ამან აწვალა აქაური ეპისკოპოსი, ბერნი და ჯვარი ვაზისა საჯინიბეში გადააგდო. სასიხარულოდ, სომხის კათალიკოსმა ვასილიმ იპოვნა ჯვარი და თავის მრევლის თაყვანის საცემლად დასდვა ქალაქ ანში.

სომხის ისტორიკოსების სიტყვით (პ. იოსელიანი) ჯვარი ნინასსი მცხეთაში იყო 175 წ. კაპოეტის ციხეში და ვანანდში 459 წ. ყარსში — 164 წ. და მცხეთიდამ გატანის და ანისში დასვენებამდის გავიდა 798 წ.

ანისში იმყოფებოდა ეს ჯვარი 1239 წ., როდესაც მონგოლთა წინამძღოლმა ჩერმაგუნმა აიღო ეს ქალაქი. მაშინ ქართველთა დედოფალმა რუსუდან და მღვდელ-მთავართა გამოსთხოვეს მონგოლთა ნინას ჯვარი და ხელ-ახლა დასდვეს მცხეთის სობოროში, საიდანაც შემდეგში მრავალჯერ შიშიანობის დროს გაუტანიათ და შეუნახამთ ხან სამების ეკკლესიაში (ყაზბეგში), ხან არშის ციხეში, ხან ანანურში. ამ მდგომარეობაში იყო ეს ძვირფასი ჯვარი ვიდრე 1749 წ. ამ წელს მიტროპოლიტმა რომანოზ *) საიდუმლოდ წაიღო იგი რუსეთში და გადასცა იქ მყოფს მეფის ძეს ბაქარს (ეს იყო შვილი ვახტანგ VI-სა). ამის გამო შეძრწუნებულნი და განრისხებულნი მეფენი თეიმურაზ II, ერეკლე II და გიორგი XIII დიდათ ევედრებოდნენ რუსეთში მყოფთა ვახტანგ მეფის ჩამომავალთა, რათა დაებრუნებინათ საქართველოსთვის მისი ნუგეში და დიდება, მაგრამ ისინი არ უსრულებდენ თხოვნას. ჯვარი ინახებოდა ნიჟეგოროდის გუბ., სოფ. ლისკოვოში, ვახტანგ მეფის მამულში. 1800 წ. ბაქარის შვილის შვილმა გიორგიმ მიართვა ნინას ჯვარი იმპერატორს ალექსანდრე I, რომელმაც იგი დაუყოვნებლივ გამოგზავნა საქართველოში რესკრიპტით, რომელსაც ჩვენ აქ მოვიყვანთ შემოკლებით:

ჩვენ (იმპერატორი ალექსანდრე I) უწყით რანაირად უყვარდა და პატივსა სცემდა საქართველოს ხალხი პატიოსანსა და ცხოველს მყოფელსა ჯვარსა ნინასსა, ამიტომ ვგზავნით ამ ძვირფასს საუნჯეს ისევ საქართველოში. რესკრიპტის შემდეგი სიტყვებიდამ სჩანს, რომ იმპერატორს ჯვარი გადუცია საქართველოს რეზიდენტის კოვალენსკისათვის და ბრძანება გაუცია, რომ საქართველოს სამღვდელოება მიჰგებებოდა ჯვარსა ქალაქის ბჭესა გარე.

აღსასრულებლად ამ გვარის უმაღლესის რესკრიპტისა დანიშნულ დღეს საქართველოს კათალიკოსი ანტონი II (ძე ერეკლესი), მღვდელ-მთავარნი იუსტინე სამთავისა, არსენ ტბილელი, სტეფანე რუსთავისა და მთელი სამღვდელოთა კრებული ხალხით გამოსულან ქალაქს გარე; მეფე გიორგი XIII-სთან დანიშნული რეზიდენტის კოვალენსკისაგან კათალიკოზს ანტონი II მიუღია ჯვარი ნინასსი, ამბორს უყვია მისთვის, გარდუცია მღვდელთათვის და ისე კრებულს შეუტანია ქალაქში და დაუდვია სიონის სობოროში. ნინას ჯვარს რუსეთში დაუყვია 52 წ. ხალხი თურმე იხარებდა და იშვებდა, როდესაც დაინახა თვისი საუნჯე.

მოსე ჯანაშვილი.

*) პ. იოსელიანი ამბობს (опис. гор. Тифл.), რომ რომანოზი სინოდის საქმეებში იწოდება სამთავისის და გორის მიტროპოლიტად. ის მისულა მოსკოვში 1732 წ. (საქმე 1732 წ. № 257) იმავე წლ. დეკემბერში მისთვის ნება დაურთვიათ შეესრულებინა ღვთის მსახურება. სინოდის საქმიდამ (1752 წ. № 128) სჩანს, რომ რომანი 1749 წ. დაბრუნებულა საქართველოში, მაგრამ 1752 წ. უკანვე წასულა და თან წაუღია ჯვარი ვაზისა. სინოდის სხვა საქმიდამ (1753 წ. № 313) სჩანს, რომ მიტროპოლიტი რომან გარდაცვლილა ქალაქ ჩელსარში, 30 იანვარს 1753 წ. და ანდერძის მიხედვით დასაფლავებულია აშტარხანის მიძინების ეკკლესიაში, 13 მარტს იმავე წელს.

შენიშვნა.

კვირა დღეა. ეკკლესია სავსეა ხალხით. მოსულა აქ ტანჯული მუშაკი: მას ჰსურს ცოტახან მაინც თავისუფლად ამოისუნთქოს თავის კეთილ მეუფის ტაძარში, მას ჰსურს ტანჯული ტკბილი იესოს მოგონებით მიიცეს ძალა და მოთმინება, რომ კვალად და კვალად შეუძლოს ტანჯვას. მოსულა ბოროტმოქმედიც: მის სულში რაღაც სასწაულით ჩარჩენილ ნათელს მოუყვანია ის გამოუთქმელის ნათლის სავანეში; ის დაჰფიქრებია თავის ცხოვრებას; თითქო მისი სინიდისი იღვიძებს! თითქო მის გულში გამოჩნდა ნათელი სინანულისა! მოსულა მდიდარი, ქვეყნიურ კეთილზე მონავარდე: ცხოვრებისაგან გალაღებულ სიამოვნების ფიალი თითქმის დაუშრეტია, მაგრამ უკმაყოფილება უძლიერესათ ჰქენჯავს მას და კვალად სიამოვნების ამაოდ მძებნელი შემთხვევით შესულა თვით ზენარი მშვენიერების ტაძარში; უკვდავმა მშვენიერებამ შეიწყალა იგი, შეახო თვისი ფრთა, აგრძნობინა თვისი სიტკბოება; ლამის ჰპოვოს მაშვრალმან ჭეშმარიტის სიხარულის უშრეტი წყარო. მოსულა ღარიბიც, რომ სმენით და მზერით მეუფისა, რომელსაც არა აქვნდა სავანე, სადა თავი მიედრიკნა, მიიცეს ენერგია სიღარიბის ასატანად. მოსულა ქვეყნიურ ცხოვრებით მილეული მოხუცი: ზეციურ ცხოვრებისადმი ლტოლვას მოუყვანია ის აქ. მოსულა ქვეყნიური სურვილებით და ძალით

სავსე ახალგაზდაც, მაგრამ აქ ისიც რაღასაც დაჰფიქრებია; მის სახეზე აღარ თამამობს უდარდელი ღიმილი. აქ შეგროვილა ყველა ხარისხის, ყველა მდგომარეობის, ყველა ჰასაკის ხალხი. წმიდა ტაძარს გაუერთებია ისინი მათ მეუფის წინ; წმიდა ტაძარში ყველა ერთბაშად ჰპოვებს გამაცხოველებელ ნუგეშს, წმიდა ტაძარში ყველას ერთგვარათ ეფინება ზენარი მადლი; წმიდა ტაძარს დროებით ყველასთვის ერთნაირად დაუვიწყებია ცხოვრების შეუბრალელი, მარად დასანთქმელად მზა ტალღები და მათთან განუწყვეტელი. თავგანწირული ბრძოლა სიცოცხლის დასაცველად... წკრრ... ჩხრრ... გაისმა უცებ: ეს მნათეა; მას ხელში უჭირავს ფულის მოსაგროვებლად ზანზალაკით შემკობილი „ფასის საცავი"; ის ყველას წინ გაუჩხრიალებს მას და ყველას ხელში შესცქერია ანგარის თვალებით; ის თითქო ეუბნება მლოცველს: გეყო ამდენი აღმა ფრენა, დაიხარე ძირს, ჩამო სამყაროდამ მიწაზე და მოიხადე ის ვალი ჩვენდამი, რომელსაც გდებს დედამიწაზე არსებობა... განჰქრა მლოცავთ გამომეტყველობაში ზენარი აღბეჭდილება; მათ სახეს დეედო მდაბალი ზრუნვის ბეჭედი. ზოგნი როგორღაც შეიკუმშნენ, თითქო შერცხვათ: მათ გროშიც არა აქვთ მნათეს გასასტუმრებლად; სხვებმა რაღაც სისწრაფით ჩაუშვეს შესაწირავი „ფასის საცავში", თითქო ჰსურთ მალე მოიშორონ მათი წუთიერის ნეტარების დამარღვეველი; სხვებმა ერთმანეთს დაუწყეს მზერა, ვინ რამდენს შესწირავსო; სხვებმა დინჯად ამოიღეს მშვენიერი ქისები, უხვად გაიღეს ვერცხლი და ამაყად მოავლეს თვალი შეყრილობას. შეიქმნა რყევა, ჩურჩული, ღიმილი; განჰქრა ოცნება; ეკკლესიის მსახურმა გააღებინა ქრისტიანეთ მოწყალება ისე, რომ ვერ ჰსცნო მარცხენემან მათმან, რასა იქმოდ მარჯვენე... ნუ თუ საიდუმლოდ მმზერელი Ієსო, მხილველი ამისი, არ აღიგზნება იმავე ცეცხლით, რომლითაც ოდესმე აღგზნებულმა „შეჰქმნა შოლტი საბლისა" და მით განდევნა ტაძრიდამ მისი სიწმიდის, დამარღვეველნი! და მერმე რა ადვილია ავიშოროთ ეს შეუსაბამო! მხოლოდ საჭიროა დავკიდოთ „ფასი საცავი" ტაძრების შესავალში.

ვ. ბარნოვი.

***

გავჩნდით რისთვისა?
ნუ თუ მისთვისა
რაც Იმერთმა მოგვცა, რომ არ ვიკმაროთ
და ამ სოფელში,
სხივით ნათელში
დაბნელებულის თვალით ვიაროთ!
ნუ თუ მისთვისა,
სახითა Ჯღვთისა
ვერ იგრძნოს კაცმა, რომ შემოსილა!
მან მსხვერპლმა მიწის
რომ არა იცის,
ამ Ივთის ქმნილს ქვეყნად რისთვის მოსულა.
ნუ თუ მისთვისა,
რომ მცნება ცისა
ძმობის, ერთობის მან უარი ჰყოს,
ანგაარებით,
ამპარტავნებით,
რომ ძმობის ნაცვლად ძმა ძმის მტრათ იყოს.
ნუ თუ მისთვისა,
რომ მზისა სხივსა
და დღეს ნათელსა არ შეხაროდეს,
მთათა და ბარსა
ცისა ლაჟვარდსა
ცასა ელვარეს, ვარსკვლავთ და მთვარეს
და ნაცვლად მისა
ქონება ძმისა
სულ თვალ წინ ედგას და მისთვის შურდეს
და ის ქონება
მის შეძინება
გულით და სულით, მთლათ არსით სურდეს!
ნუ თუ მისთვისაა,
რომ ერი Ჯღვთისა
სხვა ერს სახლ-კარსა ხმლითა უნგრევდეს
და შთენი ერი,
უგზო, მშიერი
დანგრეელ სახლ-კარს ცრემლით უმზერდეს.

ვ. ო.

სხვა-და-სხვა ამბები და შენიშვნები.

ეს დღეებში ჩვენ მივიღეთ თფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის დეკანოზის პავლე ჩუდეცკისაგან წესდება თფილისის სემინარიის ღარიბ შაგირდების შემწე „ძმობისა“ და რამოდენიმე წლის ანგარიშები. რექტორი ამასთანავე გვთხოვს, რომ ვაცნობოთ ამ ძმობის არსებობა თფილისში ბეჭედითი სიტყვით სასულიერო წოდებას, რომ შემძლე პირთა მიიღონ მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში.

ეს ძმობა დაარსდა 30 ნოემბერს 1880 წელსა წმიდა ანდრია მოციქულის მოხსენების დღეს. ძმობა იმყოფება საქართველოს ექსარხოსის მფარველობის ქვეშ და შესდგება საპატიო, და ნამდვილ წევრთაგან. საპატიო წევრებათ ირიცხებიან ისინი, ვინც ერთ დროებითად ას მანეთს შესწირავს „ძმობის“ სასარგებლოდ; ნამდვილ წევრებათ იწოდებიან, ვინც ხუთ მანეთს შესწირავს. ნიადაგ ნამდვილ წევრათ იწოდება, ვინც ერთ დროებითად შესწირავს არა ნაკლებ ხუთი თუმნისა. ამ ძმობაში აქვსთ მიღებული მონაწილეობა თფილისის გუბერნიის სასულიერო და სახორციელო პირთა, მაგრამ, სამწუხაროდ, მთელს იმერეთის ეპარხიიდგან ორი სამი პირის მეტი ვერ ვნაეხეთ ძმობის სიაში. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ „ძმობის“ წესდება რომ დაებეჭდათ ქართულად და ყველა სამღვდელო პირთათვის დაერიგებიათ, უფრო მეტი წევრები ეყოლებოდა „ძმობას.“ თფილისის სასულიერო სემინარიაში დღეს იზრდებიან იმერეთის ეპარხიის სასულიერო წოდებათა შვილებიც; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველანი, ვისაც ცოტათი მაინც შეძლება ნებას აძლევს, მიიღებენ მონაწილეობას ამ კეთილი მიზნით დაარსებულ „ძმობაში“. შემდეგისათვის ჩვენ მთლად დავბეჭდავთ „ძმობის“ წესდებას.

***

ეონის წმიდის ბიორგის ეკლესია გასტეხეს და გაიტანეს ყველა ძვირფასი ნივთეულობა ორასი თუმნის საღირალი. დღემდის ქურდები ვერ აღმოუჩენიათ.

***

ჩვენ ნამდვილად შევიტყვეთ, რომ საქართველო იმერეთის სინოდალნის კანტორა მიქცეულა თხოვნით ეაწმიდესი სინოდისადმი, რომ, ნაცვლად რუსულ ენაზე დაბეჭდილ სასულიერო კონსისტორის წესდებათა, დაერიგოს საქართველო საექსარხოსო სამღვდელოებას ქართულ ენაზე დაბეჭდილი კონსისტორიის წესდებანი. მჭვი არ არის, რომ სინოდი დათანხმდება ამ კანონიერ კანტორის თხოვნაზე. ჩვენ მხოლოდ ეხლა იმას ვისურვებთ, რომ კონსისტორიის წესდების თარგმა მიემდოს იმისთანა პირებს, რომელთაც რუსული ენიდამ ქართულად შეეძლოსთ კარგა გასაგები ენით გადმოთარგმნა.

***

ეს მეორე წელიწადია, რაც ქალაქ თფილისში სამღვდელოებას დიდმარხვის კვირა დღეებში გამართული აქვსთ ეკკლესიებში საუბარი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი შინაარსისა. ნუ თუ ქუთაისში არ შეუძლიათ ქალაქის მღვდლებმა წაბაძონ თფილისის ქალაქის სამღვდელოებას და იმათაც თუ ყოველ კვირას არა—ორ კვირაში მაინც გააგონონ ხალხს ცოტა რამ სწავლა და დარიგება...

***

